გეომედი Geomedi

№21 (22) 2026 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

ძვირფასო ქალებო!

გილოცავთ 3 მარტს - დედის დღეს და 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს!

ყველა ქალს და დედას ვულოცავ **გაზაფხულის დღესასწაულებს - 3 მარტსა და 8 მარტს** ... საქართველოში ეს თარიღები გამორჩეულია, რადგან ქალი მუდმივად სათაყვანებელი იყო, არის და ასე იქნება მარად.

დედის ენა გასწავლის, გზას გაძლევს, გეხმარება მიზნის არჩევასა და მიღწევაში, გაძლევს დიდ ცოდნას რწმენისას, რომელიც საფუძველია სიყვარულისა.

გისურვებთ არ გაქრეს თქვენი სახიდან მომხიბვლელობა და მიმზიდველობა, იდუმალება, სისადავე, გრძნობის შინაგანი სიბრძნე და სიღრმე. არ დაივიწყოთ სიყვარულის დაგროვება და შემდგომ მისი ნაწილ-ნაწილ გადაცემა.

პროფესორი - **გურამ ამყოლაძე**



უნივერსიტეტ გეომედის ორგანიზებით განხორციელდა მოკლევადიანი უსგ პროგრამა: “კარდიოპულმონური რეანიმაცია გადაუდებელი მდგომარეობების დროს”. პროგრამის ავტორები და პედაგოგები იყვნენ უნივერსიტეტ გეომედის აფილირებული პროფესორები, მედიცინის დოქტორები - ნინო ოთარიშვილი და ალექსანდრე ლოლაძე.

გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა და გულის გაჩერება თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. კარდიოპულმონარული რეანიმაციის (CPR) სწავლება წარმოადგენს აქტუალურ მიმართულებას თანამედროვე ჯანდაცვაში, რადგან გულის გაჩერება რჩება სიკვდილის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ხოლო გადარჩენა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პირველივე წუთებში ჩატარებულ სწორ და დროულ დახმარებაზე. სასწავლო კურსი ჩატარდა რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში.

პროგრამის განხორციელების მიზანია სამედიცინო პერსონალის ცნობიერების ამაღლება გულ-ფილტვის რეანიმაციის თანამედროვე სტანდარტებში, სამედიცინო პერსონალის მომზადება, რომელიც შეძლებს გულის გაჩერების სწრაფად ამოცნობას, გულმკერდის კომპრესიების დაწყებას და დეფიბრილატორის სწორად გამოყენებას, რაც ამცირებს სიკვდილიანობას, ზრდის გადარჩენის შანსს და აძლიერებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონეს.

პროგრამა აკრედიტებულია სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ.

MedLink Society-ს ინიციატივით ჩატარდა ორნაწილიანი კვლევითი მასტერკლასების სერია ,,Beyond the Abstract: From Curiosity to Contribution“, რომლის მიზანიც იყო სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კვლევითი აზროვნების, მეთოდოლოგიისა და კრიტიკული შეფასების საფუძვლების გაცნობა.

სერიას ხელმძღვანელობდა ორი წარმატებული ექიმი-მკვლევარი, რომლებმაც კვლევის პროცესში გლობალური აკადემიური პერსპექტივები და პრაქტიკული ხედვა შემოიტანეს.

პირველ სესიაზე: „კვლევითი აზროვნების დაუფლება“ - მომხსენებელი იყო დოქტორი პრიტამ კადულური, ექიმი და მკვლევარი ბალტიმორის ჯონს ჰოპკინსის სამედიცინო სკოლაში. დოქტორმა კადულურიმ სტუდენტებს გააცნო კვლევის როლი სამედიცინო განათლებაში და ხაზი გაუსვა, თუ როგორ შეიძლება ცნობისმოყვარეობის გარდაქმნა მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევად.

სესია მოიცავდა FINER და PICO ჩარჩოების გაცნობას და მათი გამოყენებით ძლიერი კვლევითი კითხვების ჩამოყალიბებას, კვლევის დიზაინის ტიპებისა და მტკიცებულებების დონის გააზრებას და კლინიკური და აკადემიური იდეებიდან შემოწმებადი ჰიპოთეზების შემუშავებას.

მეორე სესიას: ,,კვლევითი ლაბირინთი'' უძღვებოდა დოქტორი გიტიკა კონერუ, პრევენციული მედიცინის ექიმი და მკვლევარი. მან მონაწილეებს კვლევითი ლიტერატურის ნავიგაციის პრაქტიკული ასპექტები გააცნო, მათ შორის ლიტერატურის ეფექტური ძიება PubMed-ისა და Google Scholar-ის გამოყენებით. განხილული იყო საცნობარო მართვის ინსტრუმენტების Zotero-სა და Mendeley-ს გამოყენება. ასევე, ისეთი სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა CASP და SIGN.

ორივე სესია წარიმართა ინტერაქტიულ ფორმატში, რაც ხელს უწყობდა აქტიურ მონაწილეობას, კითხვების დასმას. მონაწილეებს, რომლებიც ორივე სესიას ესწრებოდნენ, გადაეცათ სერტიფიკატები.

სტუდენტთა აკადემიურმა საზოგადოებამ (SAS), Medlink-ის საზოგადოებასთან თანამშრომლობით, წარმატებით ჩაატარა საორიენტაციო სესია პირველი კურსის სტუდენტებისათვის. შეხვედრა მიზნად ისახავდა პირველი კურსის სტუდენტებისთვის სტუდენტური საზოგადოებების, აკადემიური დახმარების სისტემების და აუდიტორიის მიღმა მათთვის ხელმისაწვდომი ფართო შესაძლებლობების გაცნობას. ინტერაქტიული დისკუსიების მეშვეობით, სტუდენტები წახალისდნენ, რომ სწავლის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაერთონ უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, სპეციალურ სესიაში სახელწოდებით „სახლში დაბრუნების გზა: FMGE-სა და მის მიღმა ნავიგაცია“, რომელსაც უძღვებოდა დოქტორი მ. ნადიმ ზაფარი. კლინიკური გამოცდილებისა და მენტორობის საფუძველზე, დოქტორმა ნადიმმა ღირებული რჩევები მისცა სტუდენტებს კარიერული დაგეგმვის, FMGE-სთვის მომზადებისა და გრძელვადიანი პროფესიული გზების შესახებ.

კომბინირებული სესიები საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა მონაწილეებისთვის. ღონისძიება მნიშვნელოვან პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა მხარდამჭერი აკადემიური გარემოს შექმნისა და სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობის მიმართულებით.

მსგავსი ტიპის ინიციატივებით, სტუდენტთა აკადემიური საზოგადოება (SAS) აგრძელებს თავის საქმიანობასა და ვალდებულებას, რათა დაეხმაროს სტუდენტებს სამედიცინო განათლების ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობასა და მხარდაჭერას.

სტუდენტური აკადემიური საზოგადოების (SAS) ინიციატივით ჩატარდა ონლაინ ვებინარი სახელწოდებით „წინსვლის გზა,'' რომლის მიზანი იყო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კარიერის სტრატეგიულად დაგეგმვასა და საერთაშორისო ლიცენზირების გამოცდებში წარმატებით დაძლევაში დახმარება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ დოქტორი სანკეტ გიდვანი (ბიოქიმიის რეპეტიტორი პრავარას მეცნიერებათა ინსტიტუტში) და ჰარშალ დესაი (უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, გავლილი აქვს USMLE-ის პირველი ეტაპი). მათ დამსწრე სტუდენტებს გაუზიარეს პრაქტიკული მოსაზრებები, რჩევები და სტრატეგიები, თუ როგორ მოემზადონ გამოცდებისთვის და დაგეგმონ სამომავლო ნაბიჯები.



უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკის მიერ სისტემატურად იმართება ტრენინგები პირველი კურსის სტუდენტებისთვის. აღნიშნული ტრენინგების მიზანია სტუდენტებისათვის საბიბლიოთეკო სერვისების გაცნობა, რათა მათ გაუადვილდეთ სასურველი რესურსებისა და სერვისების მოძიება და მიღება. მსგავსი ტრენინგი ჩატარდა 17 მარტს მედიცინის ფაკულტეტის პირველი კურსის ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის. შეხვედრას უძღვებოდა უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე – ნანა ცერცვაძე. სტუდენტები დეტალურად გაეცნენ ბიბლიოთეკის ფუნქციონირების წესებს, წიგნებისა და სხვადასხვა რესურსის მოძიებისა და სარგებლობის სპეციფიკას.

შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში რესურსების ძიების გზებისა და წვდომის შესახებ საუბარს და პრაქტიკული მაგალითების სახით წარმოდგენას, რაც უმარტივებს სტუდენტებს საძიებო ინსტრუმენტების ათვისებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.





უნივერსიტეტ გეომედის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ბიბლიოთეკის თანამშრომლები ესწრებოდნენ კომპანია ELSEVIER-ის მიერ ორგანიზებულ ვებინარებს. ELSEVIER - წამყვანი საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობაა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, რეფერატებს, წიგნებს და ა.შ. სამეცნიერო ბაზების გამოყენება შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე დისტანციურად.

ELSEVIER-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩატარდა შემდეგი ვებინარები:

26 თებერვალი - How to find the right journal; strategies and tools that can help authors. მომხსენებელი ელსევიერის ტრენერი -Ferrett Alison.

6 მარტი - Navigating publishing with Elsevier: literature search, article preparation and journal selection. მომხსენებელი ელსევიერის ტრენერი- Degtev Anton.

24 მარტი - Navigating research landscapes with Scopus & ScienceDirect. მომხსენებელი ელსევიერის ტრენერი - Degtev Anton.

ვებინარებზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა ლიტერატურის ძიება Scopus-ისა და ScienceDirect-ის გამოყენებით, მეტრიკის მიმოხილვა - ნაშრომის, ავტორისა და ჟურნალის დონეზე, ხელნაწერის მომზადების საფუძვლები, ეთიკა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. საუბარი იყო ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების შესახებ, რომლებიც გვეხმარება ნაშრომის გამოქვეყნებისთვის სწორი ჟურნალის შერჩევაში.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა, რომელიც 2011 წელს დაწესდა. ამ დღესთან არის დაკავშირებული ,,უთვალავი წინდის“ -„Lots of Socks“ ტრადიცია, რომლის მიზანიც მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვაა. საერთაშორისო ორგანიზაცია DSI (Down Syndrome International), ყოველწლიურად განსაზღვრავს მსოფლიო სლოგანებს, ატარებს კონფერენციებს და ღონისძიებებს. ამ წლის მთავარი თემა არის ,,ერთად მარტოობის წინააღმდეგ''. ორგანიზაციის ინიციატივით ყოველ წელს იმართება დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სადაც საუბრობენ პრობლემებსა და აუცილებელ ცვლილებებზე, რაც მსოფლიო ყურადღებას საჭიროებს.

ტრადიციულად, უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით წელსაც გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი აქტივობები.